ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №83

08 აპრილი 2013 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული ქონების (წიგნადი ფონდი) ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43–ე მუხლის მე–3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 13 ივნისის №31 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული ქონების ინვენტარიზაციისა და ამორტიზებული ან/და გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის განსაზღვრის შესახებ დებულების“ საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მუნიციპალიტეტის გამგეობის ბალანსზე რიცხული ქონების (წიგნადი ფონდი) ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით შეიქმნას საინვენტარიზაციო კომისია შემადგენლობით:

- ქეთევან გიორგაძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი – კომისიის თავმჯდომარე;

ლელა მდინარაძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის სპეციალისტი ქონების მართვის საკითხებში – წევრი;

მაია მელუა – მუნიციპალიტეტის ა.(ა).ი.პ. საბიბლიოთეკო გაერთიანების მთავარი ბიბლიოთეკის დირექტორი – მოწვევა;

ნინო რამიშვილი – მუნიციპალიტეტის ა.(ა).ი.პ. საბიბლიოთეკო გაერთიანების მთავარი ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარი – მოწვევა;

ქეთო კოტრიკაძე – მუნიციპალიტეტის ა.(ა).ი.პ. საბიბლიოთეკო გაერთიანების მთავარი ბიბლიოთეკის მთავარი ბუღალტერი – მოწვევა;

ირმა სიხარულიძე – მუნიციპალიტეტის ა.(ა).ი.პ. საბიბლიოთეკო გაერთიანების მეთოდისტი – მოწვევა;

მალვინა ბერაძე – მუნიციპალიტეტის ა.(ა).ი.პ. საბიბლიოთეკო გაერთიანების მთავარი ბიბლიოთეკის განყოფილების გამგე – მოწვევა;

2. კომისიამ ათი დღის ვადაში უზრუნველყოს ჯვარცხმის ტერიტორიული ორგანოს ყოფილი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის ინვენტარიზაციის ჩატარება და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

3. ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ჩაითვალოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2012 წლის 6 მარტის №53 ბრძანება.

4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*